



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი N 173

„15“ თებერვალი 2010წ.

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მ. ლომიძის
თბილისის სააპელაციო სასამართლოში მივლინების შესახებ

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 2010 წლის 1 ნოემბრიდან:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ლომიძე მივლინებულ იქნას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. მერაბ ლომიძემ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად სამოსამართლო უფლებამოსილება განახორციელოს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ვალერი ცერცვაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი